საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA

MES 6 19 00490824

30/04/2019

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა
და სპორტის მინისტრს ბატონ მიხეილ ბატიაშვილს

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა
და სპორტის მინისტრის მოადგილის ლევან ხარატიშვილის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო მიხეილ,

2019 წლის 24 აპრილის მოხსენებით ბარათზე N 474994 დამატებით მოგახსენებთ, მ.წ. 6-7 მაისს კულტურის ფორუმის ფარგლებში სხვადასხვა ქვეყნებიდან მოწვეულნი არიან მაღალი დონის სტუმრები, რაც შესაბამისად დაკავშირებულია სტუმრებისათვის საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხთან. სტუმრების სატუმროში განთავსების ორგანიზების კუთხით კი შერჩეული სასტუმრო მაღალი დონის სტანდარტის გათვალისწინებას მოითხოვს.

აღსანიშნავია, რომ კულტურული ფორუმი წელს საქართველოში პირველად იგეგმება და საერთაშორისო მასშტაბისაა, ღონისძიებაზე სტუმრებთან ერთად მოწვეულნი არიან სხვადასხვა პოლიტიკური პირები და კულტურის სფეროს წარმომადგენლები, აღნიშნული საკითხის უზრუნველყოფის და სტუმრების სასტუმროში განთავსების საკითხთან დაკავშირებით ჩვენ მიერ განხორციელდა ბაზრის კვლევა. ჩატარებული ფასთა კვლევის შესახებ სააერთაშორისო დონისა და შესაბამისი სტანდარტის სასტუმროებიდან წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე შეირჩა სასტუმრო „Sheraton Grand Tbilisi Metechi Palace“. აღნიშნულ სასტუმროში სტუმრის განთავსების ერთი ღამის საფასური მოიცავს 141.6 დოლარის ეკვივალენტი ლარი, დღგ-ს გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ფორუმის ჩატარების ადგილად შეირჩა სასტუმრო "შერატონ გრანდ თბილისი მეტეხი პალასი" (Sheraton Grand Tbilisi Metechi Palace), სადაც 6 მაისს გაიმართება ფორუმი, ხოლო 7 მაისს მოწვეული უცხოელი ექსპერტების მიერ მოეწყობა

0102 ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. N52
52 Dimitry Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia
ტელ/Tel.: (+995 32)2 200 220

ვორქშოფი ქართული ინსტიტუციებისა და კულტურის სფეროს წარმომადგენლებისათვის. აქედან გამომდინარე ამავე სასტუმროში ფორუმის ფარგლებში საჭიროებას წარმოადგენს შემდეგი მომსახურების განხორციელება:

- მოწვეული სტუმრების ნაწილისათვის სასტუმროს საცხოვრებელი ოთახები - 8 ოთახი – 9 735 ლარი
- 5 მაისს სადილი - 2 194.8 ლარი
- ოთახი ორმხრივი შეხვედრებისათვის - 354 ლარი
- 6 მაისს - 2 ყავის შესვენება და სადილი (220 ადამიანი) – 25 960 ლარი (1 ადამიანი 118 ლარი)
- 7 მაისს - 1 ყავის შესვენება და სადილი (100 ადამიანი) – 10 030 ლარი (1 ადამაინი - 100.3 ლარი)
- 6 და 7 მაისს საკონფერენციო დარბაზის ტექნიკური აღჭურვა სინქრონული თარგმანის უზრუნველყოფისათვის – 7 552 ლარი (საქართველოს მთავრობის განკარგულება N 827; 12.04.2019, პროგრამული კოდი 32 10 04)

აქვე გაცნობებთ, რომ აღნიშნული ხარჯი დაკორექტირდება სტუმართა ფაქტობრივი რაოდენობის შესაბამისად.

კულტურული ფორუმის მრავალფეროვნად წარმოჩენის მიზნით ასევე მიზანშეწონილად მიგვაჩნია კულტურული პროგრამის გამართვა, კერძოდ, კი 6 მაისს, ფორუმის გახსნის დღეს (მუსიკალური გაფორმება), წარმოდგენილი იქნება ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლის „ლაპრები“ს ქორეოგრაფიული პერფორმანსი. აღსანიშნავია, რომ ანსამბლის პედაგოგები სახელმწიფო ანსამბლ „ერისიონის“ არტისტები არიან, რაც ანსამბლის მოცეკვავეთა პროფესიონალურ დონეს განსაზღვრავს, აღნიშნული ღონისძიების ღირებულება მოიცავს 2 000 ლარს. ასევე ფორუმის მუსიკალურ ნაწილს წარმოადგენს სიმფონიური კვარტეტი „იბერი“, რომლის შემადგენლობაშიც თბილისის სიმფონიური ორკესტრის მუსიკოსები არიან და მათ მიერ ქართული კლასიკური სიმფონიური მუსიკა შესრულდება. კულტურული პროგრამის ფარგლებში ფორუმის მონაწილეებსა და სტუმრებს ქართული ფოლკლორული, ქორეოგრაფიულ ტრადიციებისა და ქართველ კლასიკოსთა მუსიკის გაცნობის შესაძლებლობა მიეცემათ, აღნიშნული ღონისძიების ღირებულება კი მოიცავს 1 500 ლარს.

ამასთან მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოწვეული უცხოელი სტუმრებისათვის სამახსოვროდ ქართული სუვენირების გადაცემა, აღნიშნული სუვენირები (ქვევრი და ტექსტილის პანო) ეროვნული მახასიათებლებით გამოირჩევა და დაკავშირებულია ქართული კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვან თემებთან (ქართული ანბანი, ვეფხისტყაოსანი, ღვინის კულტურა საქართველოში). აღნიშნული სუვენირების ღირებულება მოიცავს 1 900 ლარს.

გარდა ამისა, როგორც მოგეხსენებათ ფორუმს დაესწრებიან როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მონაწილეები, შესაბამისად საჭიროებას წარმოადგენს 6-7 მაისს სინქრონული თარგმანის უზრუნველყოფა, რომლის ღირებულება მოიცავს 6 655.20 ლარს (საქართველოს მთავრობის განკარგულება N 827; 12.04.2019, პროგრამული კოდი 32 10 04).

თქვენი თანხმობის შემთხვევაში კულტურული ფორუმის ორგანიზების, კერძოდ სტუმრებისათვის სასტუმრო ხარჯის დაფარვა, კულტურული პროგრამის გასამართად და სუვენირებისათვის საჭირო თანხის გამოყოფა შესაძლებელია პროგრამის „კულტურის

ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა - საქართველო ევროპაში/ევროპა საქართველოში“ (პროგრამული კოდი 32 10 04 - წარმომადგენლობითი ხარჯი) სახსრებიდან, შემდგომ ეტაპზე შესაბამისი სამსახურების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული პროცედურების განხორციელება ღონისძიების ფარგლებში აღნიშნული ხარჯების დასაფარად.

დანართის სახით წარმოგიდგენთ სასტუმროს, სინქრონული თარგმანისა და სუვენირების ინვოისებს.

პატივისცემით,

საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის სამინისტრო
მინისტრის მოადგილე
ხარატიშვილი ლევან